ქუთაისში ნიკეას ქუჩის რეაბილიტაცია

ქვე პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული
რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების
მეორე პროექტი

ივნისი 2015

გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ქ. ქუთაისში ნიკეას ქუჩის, ნიკეას ქუჩის პირველი შესახვევისა და სანაპირო ქუჩის რეაბილიტაციას. აღნიშნული ქუჩები მდებარეობს ქალაქის სამხრეთ ნაწილში. ნიკეას ქუჩა უერთდება ქუთაისის შემოვლითი ავტომაგისტრალის გეგუთის კვანძთან შემაერთებელ გზას. ნიკეასა და სანაპიროს ქუჩების (ნიკეას ქუჩის პირველი შესახვევის ჩათვლით) საერთო სიგრძეა 3 492 კმ.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს:

- ნიკეას ქუჩის გზის საფარის რეაბილიტაცია (დაზიანებული საფარის მოხსნა, ასფალტ/ბეტონის საფარის მოწყობა, ნიკეას ქუჩის მთლიანი სიგრძეა 2400 მ, ხოლო სიგანე 25 მ);
- ნიკეას ქუჩის განათების რეაბილიტაცია;
- ტროტუარის რეაბილიტაცია ნიკეას ქუჩის მთელ სიგრძეზე (ტროტუარის სიგანეა 3 მ);
- ნიკეას ქუჩის ბოლო მონაკვეთზე, არსებულზე დამატებით, 513 მ სიგრძის ახალი სანიაღვრე ქსელისა და მიმღები ჭების (21 ცალი) მოწყობა, ;
- ნიკეას ქუჩის შუა ნაწილში 3 მ სიგანის გამყოფი ზოლის მოწყობა ბალახის საფარით;
- ნიკეას ქუჩის პირველი შესახვევისა და სანაპიროს ქუჩის საფარის რეაბილიტაცია (ქუჩის საერთო სიგრძეა 1092 მ);
- ტროტუარის რეაბილიტაცია ნიკეას ქუჩის პირველი შესახვევისა და სანაპიროს ქუჩის გასწვრივ (3222 მ);
- სათვალთვალო და ნიაღვარმიმღები ჭების მოწყობა (8 ერთეული) ნიკეას ქუჩის პირველი შესახვევისა და სანაპიროს ქუჩაზე.

ახალ მონაკვეთთან ერთად არსებული სანიაღვრე სისტემა დაფარავს ორივე ქუჩის მთელ სიგრძეს.

ა) ზემოქმედების განსაზღვრა

ექნება თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება მცირე მოკლევადიანი ზეგავლენა გარემოზე, ხოლო მისი გრძელვადიანი გავლენა იქნება პოზიტიური. ძირითად ზემოქმედებას ადგილი ექნება მშენებლობის ფაზაში, რომელიც მოიცავს გზის საფარის დაგებას, მძიმე ტექნიკის მოძრაობას და ექსპლუატაციას, მასალების მიწოდებას.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და დამახასიათებელი ურბანულ გარემოში მცირე/საშუალო სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის: ხმაური, მტვერი,

	ვიბრაცია და ემისიები მძიმე ტექნიკის მოძრაობისა და ექსპლუატაციის შედეგად, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, მოძრაობის დროებითი შეფერხება. სამუშაოები მდინარე რიონთან გულისხმობს მდინარის კალაპოტის დაბინძურების მცირე რისკს . ქუჩების დატბორვის რისკის შესამცირებლად დაგეგმილია ჩამდინარე წყლების სადრენაჟე ქსელის მოწყობა. ჩამდინარე წყლების განტვირთვა მოხდება არსებულ ჭებში, ხოლო საბოლოოდ კი მდინარე რიონში.
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედებას ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	ქვე-პროექტის განხორციელება არ საჭიროებს მიწის ახალი ფართობის დაკავებას და განსახლებას. გრძელვადიან პერსპექტივაში ქვე-პროექტის სოციალური ზემოქმედება იქნება დადებითი - გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, ასევე ტრანსპორტის მოძრაობისა და მგზავრობის პირობები. უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და შეზღუდული მხოლოდ სამუშაოების განხორციელების ადგილით. უარყოფითი ზეგავლენა დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ ფაქტორებთან.

(ბ) შემამსუბუქებელი ზომები

განხილული იქნა თუ არა ქვე-პროექტის მოცემული დიზაინის ალტერნატიული ვარიანტები?	ალტერნატიული ვარიანტები არ იქნა განხილული, ვინაიდან ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული ინფრასტრუქტურის აღდგენას.
ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?	გზის რეაბილიტაციის ფაზაში მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება ადვილად შესაძლებელია. კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ადგილას, გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული ინერტული მასალა, თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), მოსახლეობის შეწუხება (ხმაურით, მტვერით და ემისიებით) შერბილდება მუშაობის/ მასალების მიწოდების

	განრიგის დაცვის გზით, მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების შესაბამისი მოვლით.
რა წინამორბედი გამოცდილება იქნა გაზიარებული ამ ქვეპროექტის დიზაინში?	მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს გზებისა და ქუჩების რეაბილიტაციის საშუალო და მსხვილი მასშტაბის პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება. მსგავსი პროექტების განხორციელებისას მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვე-პროექტის დიზაინი მოიცავს არა მხოლოდ ქუჩების საფარის რეაბილიტაციას, არამედ, ასევე, სადრენაჟე ქსელის, ტროტუარების, ბორდიურების და საფეხმავალო გზის მოწყობას, რაც გაზრდის ფეხით მოსიარულეთა დასატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს შემდგომში გზის საფარის მოვლა-შენარჩუნებას.
ჩართული იყო თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ცოდნა?	ქვე-პროექტი მომზადებულია ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან კონსულტაციით და როგორც საპასუხო ქმედება არსებულ სიტუაციაზე. ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ და არ აქვთ პრეტენზია დროებით შემაწუხებელ ფაქტორებთან დაკავშირებით. მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრა ჩატარდა 2015 წლის 2 ოქტომბერს, რომელზეც განხილული იქნა ქვე-პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა. შეხვედრის ოქმი თან ერთვის.

(გ) რანჟირება

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციის OP/BP 4.01 შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირებული იქნა, როგორც კატეგორია B და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის.

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და ექვემდებარება თუ არა დადასტურებას? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ეკონომიკურ რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყალი, საერთო საზოგადოებრივი საჭიროების ობიექტები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (საზოგადოებრივი ან კერძი, დროებით ან მუდმივად) ?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის (მარცვლელული, ხეხილი) ან საოჯახო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		✓
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			

ნაწილი ა: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი (RMIDP 2)
ქვე-პროექტის დასახელება	ნიკეას ქუჩის რეაბილიტაცია (ქუთაისის მუნიციპალიტეტი)
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	ქვე-პროექტი ითვალისწინებს ქ. ქუთაისში ნიკეას ქუჩის, ნიკეას ქუჩის პირველი შესახვევისა და სანაპირო ქუჩის რეაბილიტაციას. აღნიშნული ქუჩები მდებარეობს ქალაქის სამხრეთ ნაწილში. ნიკეას ქუჩა უერთდება ქუთაისის შემოვლითი ავტომაგისტრალის გეგუთის კვანძთან შემაერთებელ გზას. ნიკეასა და სანაპიროს ქუჩების (ნიკეას ქუჩის პირველი შესახვევის ჩათვლით) საერთო სიგრძეა 3 492 კმ. ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს: • ნიკეას ქუჩის გზის საფარის რეაბილიტაცია (დაზიანებული საფარის მოხსნა, ასფალტ/ბეტონის საფარის მოწყობა, ნიკეას ქუჩის მთლიანი სიგრძეა 2400 მ, ხოლო სიგანე 25 მ); • ნიკეას ქუჩის განათების რეაბილიტაცია; • ტროტუარის რეაბილიტაცია ნიკეას ქუჩის მთელ სიგრძეზე (ტროტუარის სიგანეა 3 მ); • ნიკეას ქუჩის ბოლო მონაკვეთზე, არსებულზე დამატებით, 513 მ სიგრძის ახალი სანიაღვრე ქსელისა და მიმღები ჭების (21 ცალი) მოწყობა, ; • ნიკეას ქუჩის შუა ნაწილში 3 მ სიგანის გამყოფი ზოლის მოწყობა ბალახის საფარით; • ნიკეას ქუჩის პირველი შესახვევისა და სანაპიროს ქუჩის საფარის რეაბილიტაცია (ქუჩის საერთო სიგრძეა 1092 მ);

	• ტროტუარის რეაბილიტაცია ნიკეას ქუჩის პირველი შესახვევისა და სანაპიროს ქუჩის გასწვრივ (3222 მ); • სათვალთვალო და ნიაღვარმიმღები ჭების მოწყობა (8 ერთეული) ნიკეას ქუჩის პირველი შესახვევისა და სანაპიროს ქუჩაზე. ახალ მონაკვეთთან ერთად არსებული სანიაღვრე სისტემა დაფარავს ორივე ქუჩის მთელ სიგრძეს.		
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: ქსიაოლან ვანგი	უსაფრთხოების სპეციალისტი: დარეჯან კაპანაძე	
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	მუნიციპალური განვითარების ფონდი	ზედამხედველი საკონსულტაციო კომპანია Eptisa Servicios de Ingenieria S.L. Spain	კონტრაქტორი: (tbd)
სამშენებლო ადგილის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ქუთაისის მუნიციპალიტეტი		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	ქ. ქუთაისი რუსთაველის ქუჩა 3 ტელ: +(995 431) 24 54 54 ელ.ფოსტა: contact@kutaisi.gov.ge		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	მუნიციპალური საკუთრება		
ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა	ქალაქი ქუთაისი მეორე დიდი ქალაქია საქართველოში. რომელიც მდებარეობს დასავლეთ საქართველოსი იმერეთის რეგიონში თბილისიდან 220 კმ-ში, მისის მოსახლეობა შეადგენს 196. 5 ათასს. ნიკეასა და სანაპიროს ქუჩები, რომელთა რეაბილიტაციაც მოხდება ქვე-პროექტის ფარგლებში მდებარეობს ქალაქის სამხრეთ ნაწილში. ნიკეას ქუჩა უერთდება ქუთაისის შემოვლითი ავტომაგისტრალის გეგუთის კვანძთან შემაერთებელ გზას. ნიკეას ქუჩის გასწვრივ		

	განლაგებულია საცხოვრებელი კორპუსები და კომერციული ობიექტები (მაღაზიები, პურკომბინატი, ავტოშემკეთებელი სახელოსნო, გაზგასამართი სადგური). სანაპიროს ქუჩა მდებარეობს მდ. რიონის გასწვრივ და ასასვლელებით უერთდება ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას. ნიკეას ქუჩის პირველი შესახვევისა და სანაპირო ქუჩის გასწვრივ განთავსებულია საქმიანი ეზოები და კომერციული ობიექტები. ამჟამად გზა ძალზედ დაზიანებულია, რაც ვერ უზრუნველყოფს შესაბამის უსაფრთხო გადაადგილებას და ზრდის ემისიებს.
მასალის წყაროებიდან მანძლი და მდებარეობა ?	წყლის მიწოდება მოხდება მუნიციპალური წყალ მომარაგების სისტემიდან. მანძილი უახლოეს ლიცენზირებულ კარიერამდე დაახლოებით 5 კმ.
კანონმდებლობა	
პროექტის სამუშაებისათვის შესაბამისი ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ნებართვები	მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალი რისკის B კატეგორიის პროექტი. ქვე პროეტი მიღებულია ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოსდაცვით შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას. თუმცა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად: (i) სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; (ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა);

	(iii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა), ასევე, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა); (iv) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული სამშენებლო ნარჩენები (მოჭრილი მიწა, სედიმენტები) განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან და საზედამხედველო კომპანიასთან.; (v) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. სასარგებლო წიასეულის მოპოვების ნებართვები, ასევე ასფალტ ბეტონის ქარხნის ოპერირების და ნარჩენების გატანის ნებართვები თან უნდა ერთვოდეს ამ გარემოს მართვის გეგმას მას შემდეგ რაც მოხდება კონტრაქტორის შერჩევა და სამშენებლო სამუშაოებისათვის მობილიზება დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.
საჯარო კონსულტაცია	
როდის და სად ჩატარდება/ჩატარდა საჯარო კონსულტაცია	მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრა ჩატარდა 2015 წლის 2 ოქტომბერს, რომელზეც განხილული იქნა ქვე-პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა. შეხვედრის ოქმი თან ერთვის.
დანართები:	

დანართი 1: სამშენებლო ადგილის რუკა და სურათები
დანართი 2: საჯარო კონსულტაციის ოქმი
დანართი 3: ხელშეკრულება ნარჩენების განთავსების შესახებ (მოსაწოდებელი)

გარემოსდაცვითი /სოციალური სკრინინგი			
	მოქმედება/საკითხი	**სტატუსი**	**დაწყებული მოქმედებები**
ითვალისწინებს თუ არა სამშენებლო ტერიტორიაზე წარმოებული საქმიანობა ქვემოთ წარმოდგენილ საკითხებს?	A. შენობის რეაბილიტაცია	[x] დიახ [ ] არა	იხ. ნაწილი **A** ქვ.
	B. ახალი მშენებლობა	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ნაწილი **A** ქვ.
	C. ინდივიდუალური წყალგამწმენდი სისტემა	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ნაწილი **B** ქვ.
	D. ისტორიული შენობა (შენობები) და უბნები	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ნაწილი **C** ქვ.
	E. მიწის შეძენა[1]	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ნაწილი **D** ქვ.
	F. სახიფათო, ან ტოქსიკური მასალები[2]	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ნაწილი **E** ქვ.
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ნაწილი **F** ქვ.
	H. სამედიცინო ნარჩენების განკარგვა/ მართვა	[ ] დიახ [ ] არა	იხ. ნაწილი **G** ქვ.
	I. სატრანსპორტო მოძრაობის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[x] დიახ [ ] არა	იხ. ნაწილი **H** ქვ.

[1] მიწის შეძენა გულისხმობს ადამიანების განსახლებას და იმ ადამიანების საარსებო წყაროს შეცვლას, რომელთა მიწა ექვემდებარება შესყიდვას/გადაცემას და აღნიშნული მოქმედებს ადამიანებზე, რომელნიც ცხოვრობენ და/ან უკანონოდ მოსახლეობენ და/ან აწარმოებენ ბიზნესს (ჯიხურები) მიწაზე, რომელიც შეძენის პროცესშია.

[2] ტოქსიკური/სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგი მასალებით: ასბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე გამხსნელები, ტყვიის საღებავი და ა.შ.

ნაწილი „გ“: შემარბილებელი ღონისძიებები

საქმიანობა	პარამეტრი	შემარბილებელი ღონისძიებების ჩამონათვალი
0. ზოგადი პირობები	შეტყობინება და სამუშაო უსაფრთხოება	(a) მშენებლობის და გარემოს დაცვის ადგილობრივ საზედამხედველო ჯგუფებს და თემებს ეცნობათ მომავალი საქმიანობის შესახებ; (b) საზოგადოების ინფორმირება სამუშაოების შესახებ მოხდა მედიის საშუალებით გავრცელებული სათანადო შეტყობინების და/ან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ სამშენებლო ტერიტორიებზე (მათ შორის სამშენებლო მოედანზე) წარმოდგენილი ინფორმაციის საშუალებით; (c) მშენებლობისთვის და/ან რეაბილიტაციისთვის საჭირო ყველა კანონიერი ნებართვა მიღებულია; (d) კონტრაქტორი ოფიციალურად თანახმაა, რომ ყველა სახის სამუშაოების განხორციელება მოხდეს უსაფრთხოდ და წესრიგის დაცვით, მიმდებარე ტერიტორიების მაცხოვრებლებზე და გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; (e) მუშების პირადი სპეც. უსაფრთხოების აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრაქტიკასთან (აუცილებელია, რომ მუშები მუდმივად იყვნენ აღჭურვილები ჩაფხუტით, საჭიროების შემთხვევაში - ნიღბებით და სპეც. სათვალეებით, უსაფრთხოების ქამრებით და სპეც. ბოტებით); (f) სამშენებლო ტერიტორიებზე განთავსებულ სპეციალურ აბრებზე წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ძირითადი წესების და რეგულაციების შესახებ, რომელთა დაცვაც მოეთხოვებათ მუშებს.
A. ძირითადი სარეაბილიტაციო და/ან სამშენებლო საქმიანობა	ჰაერის ხარისხი	(a) დემონტაჟის შედეგად წარმოებული ნარჩენების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე და აუცილებელია მისი წყლით დასველება, ნარჩენების მტვრის შემცირების მიზნით; (b) პნევმატური ბურღვის/კედლის ჩამოგრევის დროს წარმოებული მტვრის ჩახშობა უნდა განხორციელდეს წყლის შესხურებით და/ან მტვრისგან დამცავი ეკრანის მოწყობით; (c) აუცილებელია, რომ გარემომცველი გარემო (ტროტუარები, გზები) თავისუფალი იყოს სამშენებლო ნარჩენებისგან, მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; (d) სამშენებლო ტერიტორიაზე არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დაწვა - ღია სახით; (e) სამშენებლო ტერიტორიაზე არ უნდა იყოს სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების გადამეტებული - არამიზნობრივი მოძრაობა; (f) აუცილებელია ტვირთის სათანადოდ გადაფარვა.
	ხმაური	(a) მშენებლობით გამოწვეული ხმაურის შეზღუდვა მოხდება ნებართვაში მითითებული შეთანხმებული დროის შესაბამისად; (b) მუშაობის დროს აუცილებელია გენერატორების, საჰაერო კომპრესორების და სხვა ელ. მექანიკური აღჭურვილობის ძრავების სახურავების დახურვა, ხოლო აღჭურვილობის განთავსება უნდა მოხდეს დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით; (c) მექანიზმების მოძრაობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით; (d) აუცილებელია მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა;

		(e) აუცილებელია მექანიზმების შესაბამისი ტექნიკური კონტროლის და მოვლა-პატრონობის პრაქტიკის გამოყენება; (f) სატრანსპორტო საშუალებების და მძიმე ტექნიკის ფუჭი მუშაობა ნებადართული არ არის. მექანიზმებზე გამოყენებული იქნება სპეციალური დამხშობები.
	წყლის ხარისხი	(a) კონტრაქტორი ვალდებულია, რომ ორგანიზება გაუწიოს და გადახუროს მასალის საწყობები; აღნიშნული საწყობების გადახურვა უნდა მოხდეს წყალგაუმტარი მასალით, ძლიერი წვიმის და წყალდიდობის დროს გამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით, ასევე აუცილებელია ეროზიისა და ნალექების ისეთი მაკონტროლებელი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა მაგ. თივის ზვინები და/ან ლამის შემოღობვები, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ნალექების სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გადასვლა, რამაც შესაძლოა ზედმეტად აამღვრიოს მახლობლად მდებარე მდებარე მდინარეები და ნაკადულები; (b) კონტრაქტორი ვალდებულია დაგეგმოს ყველა სახის მიწის სამუშაოები და უზრუნველყოს მიწის ნიადაგური ფენის და ქვენიადაგის განთავსება ისე, რომ წყლის ჭარბი ჩამონადენის მოცულობა მინიმუმამდე იქნას შემცირებული; (c) აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება ზეთის და საპოხი მასალების გაჟონვის ფაქტის არსებობის/არარსებობის დადგენის მიზნით. ყველა სახის მექანიზმების მოვლა-პატრონობა და მუშაობა უნდა მოხდეს ისე, რომ ყველა სახის გაჟონვა, ან დაღვრა, მინიმუმამდე იყოს შემცირებული; აუცილებელია ყოველდღიური შემოწმება (სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობის პროცედურების შესაბამისად), გაჟონვის, ან რაიმე სახის პრობლემის არ არსებობის დადასტურების მიზნით. სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობა, გასუფთავება, ცხიმისგან გაწმენდა განხორციელდება კონკრეტულ ადგილებში - ბეტონის საფუძველზე და არა დაყრილ გრუნტზე. აღნიშნული მონაკვეთები არ უნდა იყოს განთავსებული მდინარიდან 50 მ მანძილზე; (d) საპოხი მასალები, საწვავი და გამხსნელები აუცილებელია განთავსდეს და გამოყენებულ იქნას მექანიზმების მომსახურების მიზნით - კონკრეტულ მონაკვეთებზე - სპეციალურად მოწყობილ ადგილზე, შესაძლო მუშაობის და აუცილებელი შემოსაზღვრის უზრუნველყოფით. აუცილებელია, რომ ისეთი მასალები, როგორიცაა მაგ. სორბენტი, ქვიშა, ნახერხი, ბურბუშელა და ა.შ. ხელმისაწვდომი იყოს სამშენებლო ტერიტორიაზე; (e) სველი ცემენტის და/ან ბეტონის ჩაშვება ნებისმიერ მდინარეში, რუში, ან თხრილში, დაუშვებელია; (f) <u>სამუშაოები მდინარის სანაპიროს გასწვრივ.</u> კონტრატორი ვალდებულია, რომ უზრუნველოს საღებავების, ზეთის და საპოხი მასალების სათანადო მოვლა, მათი წყალში ჩაღვრის თავიდან აცილების მიზნით. პოტენციურად დამაბინძურებელი მასალების შენახვა მდინარიდან 50 მ პერიმეტრში, აკრძალულია. ნაგვის მდინარეში ჩაყრა აკრძალულია.

	ნარჩენების მართვა	(a) საჭიროა ნარჩენების შეგროვების და გადაყრის გზების და ტერიტორიების იდენტიფიკაცია ყველა ძირითადი სახეობის ნარჩენებისთვის, რომელიც მოსალოდნელია სადემონტაჟო და სამშენებლო საქმიანობის პროცესში; (b) მინერალური სამშენებლო და სადემონტაჟო ნარჩენების სეპარაცია მოხდება ძირითადი, ორგანული, სითხის და ქიმიური ნარჩენების შესაბამისად, სამშენებლო ტერიტორიაზე მათი სორტირებით და შესაბამის კონტეინერებში განთავსებით; (c) სამშენებლო ნარჩენების შეგროვება და გადაყრა მოხდება შესაბამისად, ლიცენზიის მქონე შემგროვებლების მიერ; (d) ნარჩენების გატანის ამსახველი ჩანაწერები წარმოადგენს მათი სათანადო მართვის საფუძველს; (e) შესაძლებლობის შემთხვევაში, კონტრაქტორი ხელმეორედ გამოიყენებს და გადაამუშავებს შესაბამისი სიცოცხლისუნარიანობის მქონე მასალებს (ასბესტის გარდა).
	მასალის მოწოდება	a) იმ არსებული საწარმოების, კარიერების ან სამტეხლოების გამოყენება, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ოფიციალური ნებართვა, ან მოქმედი ლიცენზია საქმიანობის განსახორციელებლად; b) ახალი კარიერების და/ან სამტეხლოების ტერიტორიებისთვის სათანადო ლიცენზიების მოპოვება, შესაბამისი საქმიანობის განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში; c) კარიერების და/ან სამტეხლოების ტერიტორიების გამოყენებული მონაკვეთების აღდგენა, ექსტრაქციის (მოპოვების) გაგრძელების შემთხვევაში, ან მათი სათანადოდ დახურვა, ექსტრაქციის (მოპოვების) დასრულების და ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემთხვევაში; d) გადასატანი მასალების გადაზიდვა არ უნდა მოხდეს პიკის საათებში; e) სიჩქარის მარეგულირებელი, მიმართულების შეცვლის აღმნიშვნელი და გამაფრთხილებელი ნიშნების უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებებისთვის - საჭიროების შესაბამისად.
	ხეების დაცვა გზების გასწვრივ	a) აუცილებელია გზების გასწვრივ არსებული ხეების დაცვა მოჭრის, ან არამიზნობრივი დაზიანებისგან; b) ტოტების მოჭრა და მოჭრილი მცენარეულობის გადაყრა წერილობით უნდა იყოს შეთანხმებული ადგილობრივ (მუნიციპალურ) სამთავრობო ორგანიზაციებთან;
	ტოქსიკური/სახიფათო ნივთიერებების მართვა	(a) ყველა სახის სახიფათო, ან ტოქსიკური ნივთიერებების დროებითი შენახვის მიზნით, აუცილებელია მათი განთავსება უსაფრთხო კონტეინერებში, რომელზეც მითითებული იქნება ინფორმაცია შესაბამისი შემადგენლობის, მახასიათებლების და მათი განკარგვის შესახებ; (b) სახიფათო ნივთიერებების კონტეინერების განთავსება უნდა მოხდეს გაჟონვისგან დაცულ კონტეინერში, დაღვრის, ან გამოტუტვის თავიდან აცილების მიზნით; (c) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს სპეციალური ლიცენზიის მქონე გადამზიდი საშუალებებით და მათი გადაყრა უნდა განხორციელდეს ლიცენზირებულ ადგილას. (a) ტოქსიკური ინგრედიენტების, გამხსნელების, ან ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენება არ არის ნებადართული.
H სატრანსპორტო მოძრაობის და ფეხით	მშენებლობით გამოწვეული პირდაპირი, ან არაპირდაპირი ზიანი	(a) ეროვნული რეგულაციების შესაბამისად, კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს სამშენებლო ტერიტორიის სათანადო დაცვა და მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირება. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით:

მოსიარულეთა უსაფრთხოება	საზოგადოებრივ სატრანსპორტო მოძრაობაზე და ფეხით მოსიარულეებზე	▪ აბრების, გამაფრთხილებელი ნიშნების, ბარიერების და სატრანსპორტო მოძრაობის მიმართულების მაჩვენებელი ნიშნების მოწყობა: სამშენებლო ტერიტორია უნდა იყოს ადვილად შესამჩნევი და საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა სახის პოტენციური საშიშროების შესახებ; ▪ სატრანპორტო მოძრაობის მართვის სისტემა და პერსონალისთვის ტრეინინგის (სწავლების) ჩატარება, განსაკუთრებით სამშენებლო ტერიტორიაზე მისვლის და სამშენებლო ტერიტორიის მახლობლად არსებული გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობის შესახებ. უსაფრთხო გადასასვლელების და გასასვლელების მოწყობა ფეხით მოსიარულეებისთვის იქ, სადაც ხდება სატრანსპორტო მოძრაობის შეჭრა; ▪ სამუშაო საათების რეგულირება ადგილობრივი სატრანსპორტო მოძრაობის შესაბამისად, მაგ. ძირითადი სატრანსპორტო საქმიანობის თავიდან აცილება პიკის საათებში; ▪ აქტიური სატრანსპორტო მოძრაობის მართვა კვალიფიცირებული და მოქმედი პერსონალის მიერ - სამშენებლო ტერიტორიაზე, საზოგადოების უსაფრთხო და მოსახერხებელი გასასვლელის უზრუნველყოფით - საჭიროების შემთხვევაში; ▪ უსაფრთხო და შეუზღუდავი მისასვლელის უზრუნველყოფა ოფისებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებელთან, აღდგენითი სამუშაოების წარმოების პროცესში, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შენობები ღია და მოქმედია საზოგადოებისთვის; ▪ სიჩქარის შემამცირებელი ბარიერებისა და შესაბამისი ნიშნების მოწყობა (საგზაო ისრები/ქვეითად მოსიარულეთათვის) სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემცირების მიზნით, ადგილობრივ საგზაო პოლიციასთან შეთანხმების საფუძველზე.

ნაწილი „დ“: მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	**რა** (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	**სად** (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	**როგორი** (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	**როდის** (განისაზღვრება სიხშირე/ან ხანგრძლივობა?)	**რატომ** (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	**ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე)
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მოწოდება	სამშენებლო მასალების შესყიდვა, ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტებიs შემოწმება	მოწოდებაზე კონტრაქტების გაფორმების დროს	ტექნიკური მდგრადობის და ინსტრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება სამშენებლო მექანიზმების მოძრაობა	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; ტვირთის დაცვა და შემოსაზღვრა შესაბამისი ლენტით; დაწესებული საათების და ტრანსპორტირების მარშრუტების დაცვა	სამშენებლო მოედანი	ინსპექტირება	მოულოდნელი შემოწმებები სამუშაო საათებში და სხვა დროს	ემისიებით განპირობებული მიწის და ჰაერის დაბინძურების შეზღუდვა; ადგილობრივი თემების ხმაურისა და ვიბრაციისგან შეწუხების შეზღუდვა; სატრანსპორტო მოძრაობის	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საგზაო პოლიცია

					დარღვევის მინიმუმამდე დაყვანა .	
ინერტული მასალის წყაროების შერჩევა	მასალის შესყიდვა არსებული მომმარაგებლების მიერ, შესაძლებლობის შეთხვევაში; მოპოვების ლიცენზიის მიღება სამუშაოების კონტრაქტით და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვით; კარიერის ტერასებად დაყოფა, გრუნტის უკუჩაყრა და ტერიტორიის კეთილმოწყობა მდინარის ხრეშის და ქვიშის ამოღება მდინარიდან, ხრეშის დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ტერიტორიასა და მდინარეს შორის და	კარიერების ტერიტორია	დოკუმენტების შემოწმება სამუშაოების შემოწმება	მასალების მოპოვების პროცესში	ქანობების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადაციის შეზღუდვა მდინარის სანაპიროების ეროზიის, წყლის შეკიდული ნაწილაკებით დაბინძურების და წყლის ცხოვრების შეწუხების იშეზღუდვა	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	მექანიზმების წყალში შესვლის აკრძალვა					
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა - სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროებითი განთავსება - ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების (გადაყრის) ადგილი	ინსპექტირება	პერიოდულად - მშენებლობის დროს და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სატრანსპორტო მოძრაობის გრაფიკის დარღვევა და ქვეითად მოსიარულეთა მისასვლელის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მიმართულების შეცვლის აღმნიშვნელი ნიშნების მოწყობა სამშენებლო მასალების შენახვა და სამშენებლო ნარჩენების დროებითი განთავსება, მისასვლელ გზებზე ყრილის თავიდან აცილების მიზნით	სამშენებლო ტერიტორიაზე და მის ირგვლივ	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პროცესში	სატრანსპორტო ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით; ადგილობრივი მაცხოვრებლების შეწუხების შეზღუდვა	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების უზრუნველყოფა სპეც. ტანსაცმლით (ფორმით) და უსაფრთხოების აღჭურვილობით მუშების და პერსონალის ინფორმირება პერსონალის უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ -	სამშენებლო მოედანი	შემოწმება	მოულოდნელი შემოწმებები სამუშაოების პროცესში	სამუშაოების შესრულების დროს ინციდენტების და გაუთვალისწინებელი შემთხვევების შეზღუდვა	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

	მექანიზმების/აღჭურვილობის ექსპლოატაციასთან და აღნიშნული წესების/ინსტრუქციების მკაცრ დაცვასთან დაკავშირებით					
საექსპლოატაციო ფაზა						
რეაბილიტირებული გზის მოვლა-პატრონობა	შესაბამისი გზის საიდენტიფიკაციო ნიშნების მოვლა-პატრონობა, სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით; არსებული ქუჩის მონაკვეთების დემარკაცია - შეკეთების პროცესში; ასფალტის და/ან სხვა ნარჩენების გატანა მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ტერიტორიიდან გამოყოფილ ნაგავსაყრელზე.	გზების რეაბილიტირებული მონაკვეთები	შემოწმება	მოვლა-პატრონობის პროცესში	საგზაო შემთხვევების და სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევის თავიდან აცილება	ქუთაისის მუნიციპალიტეტი

დანართი 1. სარეაბილიტაციო ქუჩების ამსახველი რუკა და ფოტოები

ნიკეას ქუჩის ფოტოები

სანაპიროს ქუჩა

დანართი 2: საზოგადოებასთან კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტი

2 ოქტომბერი, 2015 წელი

ქალაქი ქუთაისი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი (RMIDP 2)

ნიკეას ქუჩის რეაბილიტაცია ქალაქ ქუთაისში

ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების

მართვის გეგმის საჯარო განხილვა

2015 წლის 2 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისში, მერიის სხდომათა დარბაზში გაიმართა ნიკეას ქუჩის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენის და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ქუთაისის ეროვნული აკადემია: ედუარდ თუთბერიძე

აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი: ბაძგარაძე ალექსანდრე, შოთა ლომინაშვილი

ნიკეას ადმინისტრაციული ერთეული წამყვანი სპეციალისტი: ფცქიალაძე გურამი

ქ. ქუთაისის მერის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძე

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები : ნანა სახამბერიძე, თეა მოდებაძე, კარლო კუხიანიძე, ბაქარი ჩორგოლიანი, ზურაბ ბურჯანაძე, ივეტა გეგუჩაძე-სიხარულიძე, ნანა კოსტავა, ზაზა მჟავანაძე, გაბა გოგონაძე, ოლეგ მარგველაშვილი, კონსტანტინე ქავთარაძე, გენადი კუჭუხიძე, ჯონი არაბიძე, გრიგოლი რევიშვილი,

მალხაზ ბასილაძე, ზაქარია ჭეიშვილი, პაატა კლდიაშვილი, ირაკლი გოგლიჩიძე, ვლადიმერ ნაკაშიძე,

ადგილობრივი მოსახლეობა: ვალენტინა მახათაძე, დავით ცაგარეიშვილი, მანანა გვარჯალაძე, გივი ჩხაიბაძე, ქეთევან ძიმისტარიშვილი, თამარ კვიცარიძე,

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ნინო პატარაშვილი - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;

შალვა კოკოჩაშვილი- პროექტების მენეჯერი

ნონა ჭიჭინაძე- სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტი

შეხვედრა გახსნა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ კონსტანტინე ქავთარაძე და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდის, შეხვედრის მიზნების და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ. ნინო პატარაშვილმა, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტმა, საზოგადოებას წარუდგინა ქვე-პროექტისათვის მომზადებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა. მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტებისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად ან მათ შესარბილებლად. აღნიშნა, რომ პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას და/ან რამე სახის შეთანხმებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, ამიტომ ყველა პროცედურა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამის უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგიონული განვითარების პროექტისთვის მომზადებული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად.

ნ. პატარაშვილმა ისაუბრა გარემოსდაცვითი შეფასების მიმოხილვის დოკუმენტის შინაარსსა და სტრუქტურაზე, მათ შორის, გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებათა გეგმაზე. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მართვის გეგმით განსაზღვრული, სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის

შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასევე, მიმოიხილა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და შესაბამისი ანგარიშგების პროცედურები და ამ პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი მხარეები.

ნ. პატარაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	**პასუხები და კომენტარები**
პროექტით გათვალისწინებულია 3 მეტრის სიგანის გზის გამყოფი ზოლის მოწყობა. შესაძლებელი არის თუ არა სავალი ნაწილის გაფართოების მიზნით, ზოლის სიგანის შემცირება?	ქვე- პროექტის დიზაინის შექმნა მოხდა ქ. ქუთაისის მერიისა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფრონდის შეთანხმების საფუძველსა და არსებული სტანდარტების მიხედვით. ამ ეტაპზე, პროექტში რაიმე ცვლილების შეტანა არ იგეგმება.
როდის გამოცხადდება ტენდერი და დაიწყება სამშენებლო სამუშაოები?	ტენდერი უკვე გამოცხადებულია და მიმდინარეობს სამშენებლო კომპანიის შერჩევა და უახლოეს პერიოდში მოხდება სამშენებლო კომპანიის მობილიზაცია და სამშენებლო სამუშაოების დაწყება.
იგეგმება თუ არა სამომავლოდ რაიმე პროექტის განხორციელება?	სამომავლოდ პროექტის განხორციელება დამოკიდებულია ახალი ფინანსურ რესურსებზე.

იგეგმება თუ არა სარეაბილიტაციო გზის მიმდებარედ ჩიხებში გზის საფარის რეაბილიტაცია?	ადგილობრივი მთავრობის მოთხოვნის თანახმად, პროექტით გათვალისწინებულია მხოლოდ ცენტრალური გზის რეაბილიტაცია.

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება ქვე-პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმართ და გამოთქვეს იმედი, რომ სამშენებლო სამუშაოები დროულად დასრულდება.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია:

ნინო პატარაშვილის მიერ

30 სექტემბერი 2015

დანართი 1. შეხვედრაში მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი

ქუთაისში ნიკეას ქუჩის რეაბილიტაცია

ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სკრინინგის დოკუმენტისა

და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა

2 ოქტომბერი 2015 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	[illegible]	[illegible]	599 240 575 597 675 428	[illegible]
2.	[illegible]	[illegible]	598 340 310	[illegible]
3.	[illegible]	[illegible]	555 54 96 05	[illegible]
4.	[illegible]	[illegible]	598 988489	[illegible]
5.	[illegible]	[illegible]	551-54-54-48	[illegible]
6.	[illegible]	[illegible]	577 13 18 47	[illegible]

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
7.	[illegible]	[illegible]	599 77-69-90	[illegible]
8.	[illegible]	[illegible]	599 94 84 97	[illegible]
9.	[illegible]	[illegible]	591 17 27 27	[illegible]
10.	[illegible]	[illegible]	595-744-204	[illegible]
11.	[illegible]	[illegible]	595 33 68 77	[illegible]
12.	[illegible]	[illegible]	599 92 93 01	[illegible]
13.	[illegible]	[illegible]	577-21-83-06	[illegible]
14.	[illegible]	[illegible]	595 277 001	[illegible]
15.	[illegible]	[illegible]	598 940738	[illegible]
16.	[illegible]	[illegible]	595 40-88-83	[illegible]

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
27.	[illegible]	[illegible]	599-31-38-44	[illegible]
28.	[illegible]	[illegible]	577-75-10-40	[illegible]
29.	[illegible]	[illegible]	28 18 21	[illegible]
30.				
31.				
32.				
33.				
34.				

დანართი 2. ფოტომასალა